შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტის სამდივნოს

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტის სამდივნო (შემდგომში – „სამდივნო“) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულია. სამდივნოს ფუნქციები, სტრუქტურა და მართვის ორგანიზაცია განისაზღვრება ამ დებულებით.
2. სამდივნო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებით, წინამდებარე დებულებით და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელი აქტებით.
4. სამდივნო უშუალოდ ექვემდებარება უნივერსიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.
5. სამდივნო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, თანამშრომლობს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან.

მუხლი 2. სამდივნოს მიზნები

1. სამდივნოს საქმიანობის ძირითადი მიზნია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტს უფლებამოსილების განხორციელებაში, ასევე ხელი შეუწყოს პირველი ვიცე-პრეზიდენტის საქმიანობას უნივერსიტეტის კოორდინაციული მუშაობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 3. სამდივნოს ფუნქციები

1. სამდივნოს ფუნქციებია:
ა) უზრუნველყოს ეფექტური კომუნიკაცია უნივერსიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტსა და უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს შორის;
ბ) უზრუნველყოს პირველი ვიცე- პრეზიდენტის საქმიანი კორესპოდენციის მართვა;
გ) განახორციელოს პირველი ვიცე-პრეზიდენტის საქმიანი აქტივობების ორგანიზება.

მუხლი 4. სამდივნოს სტრუქტურა და მართვა

1. სამდივნოს ხელმძღვანელობს პირველი ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პრეზიდენტი პირველი ვიცე-პრეზიდენტის წარდგინებით. თანაშემწე ანგარიშვალდებულია პირველი ვიცე-პრეზიდენტის წინაშე.
2. სამდივნოში შედიან პირველი ვიცე-პრეზიდენტის მრჩეველი (მრჩევლები), ასევე ხელშეკრულებით მოწვეული სხვა პირები, რომლებსაც პირველი ვიცე-პრეზიდენტის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრეზიდენტი. ისინი ანგარიშვალდებულნი არიან პირველი ვიცე-პრეზიდენტის წინაშე.

მუხლი 5. უნივერსიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწე

1. უნივერსიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწე უფლებამოსილია:
ა) ხელი შეუწყოს პირველ ვიცე-პრეზიდენტს უფლებამოსილებების განხორციელებაში;
ბ) კოორდინირება გაუწიოს პირველ ვიცე-პრეზიდენტსა და უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომუნიკაციას;
გ) პირველი ვიცე-პრეზიდენტის დავალებით მოსთხოვოს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს ინფორმაციის წარმოდგენა;
დ) პირველ ვიცე-პრეზიდენტთან შეთანხმებით აწარმოოს საქმიანი ურთიერთობა უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და მესამე პირებთან;
ე) აწარმოოს პირველი ვიცე-პრეზიდენტის დღის წესრიგი;
ვ) განახორციელოს პირველი ვიცე-პრეზიდენტის სამსახურეობრივი შეხვედრების ორგანიზება;
ზ) აწარმოოს პირველი ვიცე-პრეზიდენტის პირადი კორესპონდენცია;
თ) დაიცვას კონფიდენციალობა;
ი) შეასრულოს პირველი ვიცე-პრეზიდენტის ცალკეული დავალებები.
2. პირველი ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობის შემსრულებელს, სხვა მის დაქვემდებარებაში მყოფი დამხმარე სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა შემადგენლობიდან ყველა კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს პირველი ვიცე-პრეზიდენტი ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 6. პირველი ვიცე-პრეზიდენტის მრჩეველი

1. პირველი ვიცე-პრეზიდენტის მრჩეველი როგორც წესი ახორციელებს პირველი ვიცე-პრეზიდენტის მხარდაჭერას და კონსულტირებას მის უფლებამოსილებაში შემავალი მნიშვნელოვანი საკითხის/პრობლემის განსახორციელებლად.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

1. პირველი ვიცე-პრეზიდენტის სამდივნოს დებულების მიღება და მასში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხორციელდება პირველი ვიცე-პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით.